



ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს სიახლეები  
იანვარი-აპრილი, 2019



**საქართველოს დელეგაცია სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეზიდენტის ადელა დე ლა ტორეს ინაუგურაციის ცერემონიას დაესწრო**

სან დიეგოში, კალიფორნიაში, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა პირველი პრეზიდენტი ქალის ადელა დე ლა ტორეს ინაუგურაცია აღნიშნა.

კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეურვეო საბჭომ დოქტორი ადელა დე ლა ტორე სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეზიდენტად ახლახან შეარჩია. როგორც სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-9 მუდმივი და პირველი ქალი პრეზიდენტი, იგი კამპუსს 2018 წლის ივნისის თვეში შეუერთდა.

გაიგე მეტი  
[http://mcageorgia.ge/index.php/main/read\\_news/264](http://mcageorgia.ge/index.php/main/read_news/264)



**ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა“ მემორანდუმები გააფორმა**

ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა კიდევ ერთი ინიციატივა წარადგინა და ხელი მოაწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურთან, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, საზოგადოებრივ კოლეჯებთან: „სპექტრი“, „ფაზისი“, „თეთნულდი“, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან.

გაიგე მეტი  
[http://mcageorgia.ge/index.php/main/read\\_news/263](http://mcageorgia.ge/index.php/main/read_news/263)



**ქართველი გამომგონებლები NASA- ში მიემგზავრებიან - ინოვაციის კონკურსის გამარჯვებული გამოვლინდა**

ქართველი მოსწავლეები NASA-ს კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტში გაემგზავრებიან. ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა ათასწლეულის ინოვაციების კონკურსის გამარჯვებული პროექტი გამოავლინა. 2019 წელს NASA-ში პროექტის „ბარნის სმარტ ლაბირინთი“ შემქმნელი გუნდის „ობერტონი“ ხუთი მოსწავლე - სოფიო ჩიხლაძე (გივი ზალდასტანიშვილის ამერიკული აკადემია), მარიამ გამრეკელაშვილი, გიორგი რიგიშვილი, ალექსანდრე ქაჯაია - (სკოლა აია-ჯესს), იონა იობიძე (ქუთაისის სკოლა პროგრესი) - გაემგზავრება.

გაიგე მეტი  
[http://mcageorgia.ge/index.php/main/read\\_news/262](http://mcageorgia.ge/index.php/main/read_news/262)



**„ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა“ გენდერული თანასწორობის მხარდამჭერი კომპანიები დააჯილდოვა**

„ენერგო პრო ჯორჯია“, „ლიდერი“ და „ჯეპრა“ - ეს ის სამი კომპანიაა, რომლებიც „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ კონკურსის - „ბიზნესი გენდერული თანასწორობისთვის“ გამარჯვებულები გახდნენ. კონკურსის მიზანი იმ კომპანიების წახალისებაა, რომლებიც წარმატებით ამკვიდრებენ ქალების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდამჭერის კორპორაციულ კულტურას.

გაიგე მეტი  
[http://mcageorgia.ge/index.php/main/read\\_news/261](http://mcageorgia.ge/index.php/main/read_news/261)



**ქუთაისში „ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ მიერ რეაბილიტირებული ორი სკოლა გაიხსნა**

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში, ქუთაისში ახლად რეაბილიტირებული საჯარო სკოლები გაიხსნა, რის შედეგადაც, 2000-მდე მოსწავლეს გაუმჯობესდა სასწავლო გარემო.

გაიგე მეტი  
[http://mcageorgia.ge/index.php/main/read\\_news/258](http://mcageorgia.ge/index.php/main/read_news/258)



**გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა პროფესიულ განათლებაში**

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა პროფესიულ განათლებაში - ამ თემაზე ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს ორგანიზებით, მრგვალი მაგიდა გაიმართა. გენდერული უთანასწორობა, ხშირად, ეკონომიკის ზრდის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია. შესაბამისად, ფონდის მიზანია თანაბარი წვდომისა და სარგებლის, სოციალური ჩართულობისა და გენდერული ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

გაიგე მეტი  
[http://mcageorgia.ge/index.php/main/read\\_news/257](http://mcageorgia.ge/index.php/main/read_news/257)



**ათასწლეულის გამოწვევის ფონდის 2018 წლის შედეგები**

შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაფუძნებული ადამიანური კაპიტალის განვითარება, პროფესიული და უმაღლესი განათლების სექტორის გამლიერება, მოსწავლეებში საინჟინრო, ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო (STEM) მიმართულებისადმი ინტერესის გაზრდა, ინოვაციური აზროვნების მქონე ახალგაზრდების მხარდამჭერა, საჯარო სკოლების რეაბილიტაცია - ეს ათასწლეულის გამოწვევის ფონდის 2018 წლის საქმიანობის პრიორიტეტებია.

გაიგე მეტი  
[http://mcageorgia.ge/index.php/main/read\\_news/256](http://mcageorgia.ge/index.php/main/read_news/256)



**ზესტაფონის სრულად რეაბილიტირებული მეექვსე და მეშვიდე საჯარო სკოლები ოფიციალურად გაიხსნა**

2019 წლის საგაზაფხულო სემესტრისთვის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა – საქართველომ“ 12 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია დაასრულა, მათ შორისაა, ზესტაფონის მეექვსე და მეშვიდე საჯარო სკოლები, რომლებიც ოფიციალურად გაიხსნა. საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში, სასკოლო გარემო მე-6 სკოლის 600-მდე, ხოლო მე-7 სკოლის 1200-მდე მოსწავლისათვის გაუმჯობესდა.

გაიგე მეტი  
[http://mcageorgia.ge/index.php/main/read\\_news/251](http://mcageorgia.ge/index.php/main/read_news/251)



**ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ ინიცირებული საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროექტი**

უსაფრთხო, ჯანსაღი, სწავლის მასტიმულირებელი და მიმზიდველი გარემო მოსწავლეების სწავლის შედეგის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობის უნიფიცირებული და მოქნილი სისტემა შესაძლებლობას მისცემს სკოლებს, დროული რეაგირება მოახდინონ და გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება მოსწავლეთა და მასწავლებელთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

გაიგე მეტი  
[http://mcageorgia.ge/index.php/main/read\\_news/249](http://mcageorgia.ge/index.php/main/read_news/249)



ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველო მერაბ კოსტავას 5, 0108, თბილისი, საქართველო ტელეფონი: +995 322 428 528  
ელ.ფოსტა: [info@mcageorgia.ge](mailto:info@mcageorgia.ge)  
ვებ-გვერდი: [www.mcageorgia.ge](http://www.mcageorgia.ge)

Follow us on: Facebook, Twitter, Instagram, Youtube, Web  
Copyright © 2018 MCA-Georgia Georgia, All rights reserved